



საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XII საერთაშორისო კონფერენცია

მეორე შეტყობინება

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XII საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდება 2022 წლის 29 აგვისტოდან 3 სექტემბერის ჩათვლით ქ. ბათუმში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გლობალური პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით კონფერენცია ჩატარდება შერეული ფორმატით. ამასთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდით მოგვიანებით. ვიმედოვნებთ, რომ პანდემიური სიტუაცია დასრულდება და მრავალი მონაწილე ჩამოვა ბათუმში.

კონფერენციის სექციები და თანათავმჯდომარეები:

- ალგებრა, ტოპოლოგია, გეომეტრია და რიცხვთა თეორია (მიხეილ ამაღლობელი, მალხაზ ბაკურაძე, ვლადიმერ ბალაძე, გიორგი ხიმშიაშვილი, ემზარ ხმალაძე)
- დიფერენციალური განტოლებები და გამოყენებები (როლანდ დუდუჩავა, ნუგზარ შავლაყაძე, ოთარ ჭკადუა)
- მათემატიკური განათლება და ისტორია (გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე)
- მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული მათემატიკა (ალექსი კირთაძე, როლანდ ომანაძე, ალექსანდრე ხარაზიშვილი)
- მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი ანალიზი (ჰამლეტ მელაძე, თემურ ჩილაჩავა, თემურ ჯანგველაძე)
- მათემატიკური ფიზიკა (ალექსანდრე კვინიხიძე)
- ალბათობის თეორია და სტატისტიკა, ფინანსური მათემატიკა (ვახტანგ კვარაცხელია, ვაჟა ტარიელაძე, ომარ ფურთუხია)
- ნამდვილი და კომპლექსური ანალიზი (ვახტანგ კოკილაშვილი, გიორგი ონიანი, შაქრო ტეტუნაშვილი, გიორგი ტეფნაძე)
- ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი (ბესიკ დუნდუა, შალვა მალიძე, მიხეილ რუხაია, კოსტანტინე ფხაკაძე)
- გამოყენებითი მათემატიკა, ინფორმატიკა და გამოთვლები გარემოს შემსწავლელ მეცნიერებებში (თეიმურაზ დავითაშვილი, რამაზ ქვათაძე, მანანა ხაჩიძე).

თემატური მინისიმპოზიუმები: მონაწილეებმა, რომელთაც სურთ თემატური მინისიმპოზიუმების ორგანიზება, უნდა გამოაგზავნონ განაცხადი ელექტრონული ფოსტით **2022 წლის 15 ივნისამდე** შემდეგ მისამართზე: conferences.gmu@gmail.com .

მინისიმპოზიუმის ორგანიზებისათვის აუცილებელია არანაკლებ 5 მომხსენებლის მონაწილეობა.

რეგისტრაცია და თეზისის წარდგენა:

ეწვიეთ კონფერენციის ვებ-გვერდს <http://gmu.gtu.ge/Batumi2022/index.html>, გაიარეთ რეგისტრაცია და ატვირთეთ თეზისის LaTeX და Pdf ვერსიები **2022 წლის 15 ივლისამდე**. თეზისის წარმოდგენილი უნდა იყოს LaTeX ფორმატში ინგლისურ ენაზე. თეზისის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს. დაბეჯითებით გთხოვთ, დაიცვათ შაბლონში მითითებული წესები. მიზნული ფაილით გიგზავნით თეზისის შაბლონს. შაბლონების ჩამოტვირთვას შეძლებთ კონფერენციის ვებ-გვერდიდანაც.

გაითვალისწინეთ, რომ, რეგისტრაციის დროს, ინგლისურ სათაურთან ერთად, აუცილებელია მოხსენების სათაურის ქართული ვერსიის ატვირთვა.

თეზისი, რომელიც სხვა ფორმატით იქნება მომზადებული, არ განიხილება.

დაგვიანებით წარმოდგენილი თეზისი არ გამოქვეყნდება თეზისების კრებულში.

შენიშვნა: რეგისტრაცია ჩაითვლება დასრულებულად და კონფერენციის მონაწილის თეზისი გამოქვეყნდება თეზისების კრებულში სამეცნიერო კომიტეტის მიერ მოხსენების პროგრამაში ჩართვის დადასტურებისა და სარეგისტრაციო თანხის გადახდის შემდეგ.

საკონფერენციო გადასახადი:

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრებისათვის, რომლებსაც გადახდილი აქვთ კავშირის 2022 წლის საწევრო გადასახადი – 80 ლარი

სტუდენტებისათვის (ბაკალვრი, მაგისტრანტი, დოქტორანტი) – 40 ლარი

ყველა დანარჩენი მონაწილისათვის – 100 ლარი

შენიშვნა: სტუდენტები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გათავისუფლდებიან სარეგისტრაციო გადასახადისაგან (საორგანიზაციო კომიტეტში მათი მომართვის საფუძველზე).

კონფერენციის ყველა მონაწილე, ორგანიზატორებისა და პლენარული მომხსენებლების ჩათვლით, იხდის კონფერენციის სარეგისტრაციო გადასახადს.

სარეგისტრაციო გადასახადი მოიცავს	სამეცნიერო სექციებზე წვდომას
	თეზისების კრებულს (ელექტრონული ფორმით)
	კონფერენციის პროგრამას

	კონფერენციის ჩატარების ტექნიკურ უზრუნველყოფას
	კონფერენციაში მონაწილეობის/დასწრების სერტიფიკატს
	ყავის შესვენებებს

მნიშვნელოვანი თარიღები:

15 ივნისი, 2022 - მინისიმპოზიუმების ორგანიზებაზე განაცხადის მიღების საბოლოო ვადა.

15 ივლისი, 2022 - თეზისის წარდგენის საბოლოო ვადა.

20 ივლისი, 2022 - მოხსენებების მიღების დადასტურება.

31 ივლისი, 2022 - საკონფერენციო გადასახადის გადახდის ბოლო ვადა იმ მონაწილეებისათვის, რომლებსაც სურთ თეზისების ჩართვა თეზისების კრებულში.

პროფესორი დავით ნატროშვილი

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი,
კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარე

პროფესორი ალექსანდრე მესხი

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე